*პროექტი*

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---ივნისი 2019 წელი

**ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ავჭალის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის გეოლოგის არსენ ოქროჯანაშვილის სახელის მინიჭების შესახებ**

1. საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) გლდანის რაიონში, ავჭალის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ორ შესახვევს მიენიჭოს გეოლოგის არსენ ოქროჯანაშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე


X=479753 Y=4631203
არსენ ოქროჯანაშვილის ქ.
X=479673 Y=4630839
X=479330 Y=4630783
I შეს.
II შეს
X=479501 Y=4630694
X=479663 Y=4630617
არსენ ოქროჯანაშვილის ქ.
X=479686 Y=4630520

# საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
## საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

KA011728183555618

მისამართი: თბილისი 0114 სანაპიროს ქ. #2; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09


**# 429706** **12 / ოქტომბერი / 2018 წ.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ 2018 წლის 09 ოქტომბერს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს N M18019487 განცხადებით მომართა მოქალაქე ციალა კილაძემ (პ/ნ:35001061638) რომლითაც მოითხოვა მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში ნუმერაციის წარმოშობის რეგისტრაცია შემდეგ უძრავ ნივთზე, მისამართით: ქალაქი თბილისი, დასახლება ზაჰესი, ავჭალის შესახვევი N3 (საკადასტრო კოდით N72.12.01.766).

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაცული მონაცემების თანახმად, უძრავი ნივთის (საკადასტრო კოდით N72.12.01.766) მიმდებარედ არსებულ გეოგრაფიულ ობიექტს არ გააჩნია ქუჩის სახელწოდება. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 202 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად - „დაუშვებელია იმ გეოგრაფიული ობიექტის ნუმერაცია, რომელიც არ არის სახელდებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, გთხოვთ თქვენი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ და განახორციელოთ აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.

დანართი 1 გვერდი

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპვადასმულია
ელექტრონულად

სამისამართო სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი ტაბატაძე

# საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია

**№2061**
**05 / მარტი / 2019 წ.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

გეგზავნებათ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში შემოსული მოქალაქე ვ. ოქროჯანაშვილის 2019 წლის 3 მარტის N1/4086 განცხადება.

დანართი: 1(ერთი) ფურცელი.

მოქალაქეებთან ურთიერთობის საკითხებში კონსულტანტი

მაია გუგუშვილი

ქალბატონო [illegible] ბატონო!

[illegible] ბავშვი [illegible] ბოდიშს [illegible] ეკითხებ [illegible] ბავშვი [illegible] ბავშვი [illegible] ბავშვი

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

წერილის ნომერი: **03-031831741**
თარიღი: **13/11/2018**
პინი: **3137**

**ადრესატი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
**მისამართი:** შარტავას ქ. 7ა

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსს
ბატონ ალექსანდრე ტოგონიძეს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამისამართო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი ტაბატაძის 2018 წლის 12 ოქტომბრის საქმე #04-031828541-03 დაკავშირებით, რომლითაც მოქალაქე ციალა კილაძის N M18019487 განცხადების საფუძველზე ზაჰესის დასახლებაში ითხოვს უსახელო ქუჩის სახელდებას (ს.კ.72.12.01.766).

როგორც მოგეხსენებათ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კომისია ვალდებულია სახელდების შესახებ დაყენებულ ინიციატივას დაურთოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურიდან მოპოვებული გეოგრაფიული ობიექტის აღმნიშვნელი კარტოგრაფიული მასალა XY კოორდინატების მითითებით WGS-84 კოორდინატთა სისტემაში.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ ინტერაქტიული რუკის მეშვეობით შესწავლილი იქნა უსახელო გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობა და მის მიმდებარედ სახელდებული ქუჩები.

მოგმართავთ თხოვნით, ნახაზი მოამზადოთ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული ნახაზის შესაბამისად (იხილეთ დანართი).

თინათინ ნიბლოშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

# ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **67-01183552944**
თარიღი: **21/12/2018**
პინი: **4223**

**ადრესატი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**მისამართი:** თავისუფლების მოედანი N2

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

**სიმბოლიკის კომისიის თავჯდომარეს**

**ქ-ნ თინათინ ნიბლოშვილს**

**მის: თავისუფლების #2**

**ტელ:+995(32)2 15 92 92**

**ქალბატონო თინათინ,**

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 13.11.2018 წლის #03-031831741 (13.11.2018წ. #06-01183172594-67) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული ჩიხების, შესახვევებისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

ალექსანდრე ტოგონიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

არსენ ოქროჯანაშვილი

(1930-1965)

გეოლოგი, სპელეოლოგი.

დაიბადა 1930 წლის 15 დეკემბერს კახში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, 1955 წლიდან ზაქათალის რაიონის სოფელ ალაბადის ქართული საშუალო სკოლის მასწავლებლად, ხოლო შემდეგ დირექტორად მუშაობდა. 1959 წლიდან თბილისში გადავიდა საცხოვრებლად და ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში მეცნიერ-მუშაკად დაიწყო მუშაობა. 1961 წლის ივნისში მონაწილეობა მიიღო მანამდე უცნობი უფსკრულის, დღეს ცნობილი ახალი ათონის მღვიმის შესწავლაში. მღვიმის აღმომჩენებმა მოიარეს გიგანტური დარბაზები და ზედაპირზე დაბრუნდნენ.

ორი წლის სათანადო მზადების შემდეგ ისევ განაახლეს ექსპედიცია. 55 მეტრის სიღრმეზე პატარა ტბას წააწყდნენ. ამ ექსპედიციის დროს არსენ ოქროჯანაშვილმა დიდი სიმამაცე გამოიჩინა, - ფარდა ახადა საუკუნეების განმავლობაში იდუმალებით მოსილ ზღაპრულ სამყაროს.

იმ დღიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის უმცროსმა მეცნიერ-მუშაკმა არსენ ოქროჯანაშვილმა სახელი გაითქვა. მან სხვადასხვა დროს მონაწილეობა მიიღო კიდევ 5 ექსპედიციაში და ყველგან პირველი, მოწინავე იყო. ახალი ათონის მშენებლობა 1967 წელს დაიწყო და 1975 წელს დასრულდა. წელიწადში ამ მღვიმეს მილიონზე მეტი კაცი ნახულობდა. სტალაგმიტებისა და სტალაქტიდების სვეტები მღვიმის დარბაზებს ჯადოსნურ სილამაზეს აძლევს.

ახალი ათონის მღვიმე საზეიმოდ 1975 წლის 4 ივნისს გაიხსნა. სამწუხაროდ, ამ დღეს ვერ დაესწრო არსენ ოქროჯანაშვილი. მაშინდელი წულუკიძის რაიონის მთების მღვიმის ექსპედიციისას ბედუკუღმართმა შემთხვევამ იმსხვერპლა იგი, შეწყვიტა უშიშარი ვაჟკაცის სიცოცხლე.

არსენ ოქროჯანაშვილის სახელის უკვდავსაყოფად ამ მღვიმეში, ექსპედიციის ტრადიციულ საბანაკო ადგილს მისმა მეგობრებმა "არსენას ნაბინავარი" უწოდეს, ხოლო დარბაზ "ტაძრის" პირდაპირ არსებულ სამმეტრიან განშტოებას - "არსენას სისტემა".

ახალი ათონის მღვიმის კომპლექსის შექმნისთვის ჯგუფთან ერთად, სიკვდილის შემდეგ, მას სსრ კავშირის 1977 წლის სახელმწიფო პრემია მიენიჭა.